


ვ. ლეკიაშვილი, ნ. თოფურია

## ავტომობილების ტექნიკური ექსპლუატაცია

მეთოდური მითითებები  
პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად



„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ვ. ლეკიაშვილი, ნ. თოფურია

# ავტომობილების ტექნიკური ექსპლუატაცია

მეთოდური მითითებები  
პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად



რეგისტრირებულია სტუ-ს  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს  
მიერ. 02.07.2009, ოქმი №6

თბილისი  
2009

შპს 629.114.6.

მეთოდურ მითითებებში განხილულია ავტომობილების ტექნიკური ექსპლუატაციის პრაქტიკული ამოცანების ამოსნის მეთოდები თეორიული კურსის პროგრამის შესაბამისად. იგი შედგება ორი ერთმანეთთან დაკავშირებული მიმართულებისაგან, რომლებშიც მოცემულია ავტომობილის საიმედოობის მაჩვენებლების განსაზღვრისა და ექსპერიმენტული მონაცემების სტატისტიკური დამუშავების მეთოდთა, ტექნიკური მომსახურების რეჟიმების დადგენისა და მიმდინარე რემონტების ოპტიმიზაციის თანამედროვე მეთოდები, ტექნიკურად მზადყოფნის კოეფიციენტის დიფერენცირებული მნიშვნელობების განსაზღვრა. თითოეული სამუშაოს დახასიათებისას მოცემულია მოკლე თეორიული ახსნა და მასალის ადვილად ათვისების მიზნით მოყვანილია პრაქტიკული მაგალითები.

განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტომობილებისა და საავტომობილო მეურნეობის სპეციალობის სტუდენტებისათვის.

რეცენზენტი ასოცირებული პროფესორი ვახტანგ ჯაჯანიძე

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009

ISBN 978-9941-14-688-6

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

## წინასიტყვაობა

ექსპლუატაციის პროცესში ავტომობილების ტექნიკური მდგომარეობის უზრუნველყოფა დაკავშირებულია ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების შესრულებასთან და მოიცავს მატერიალურ და შრომით ხარჯებს. ეს ეხება ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებას და რემონტს. მათი შესრულების ხარისხი დამოკიდებულია მოძრავი შემადგენლობის კონსტრუქციულ თავისებურებებსა და საექსპლუატაციო პირობების მიხედვით ნორმატიული მაჩვენებლების შესაბამისობაზე. ამიტომ მათი თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით ოპტიმიზაცია, სათანადო პარამეტრების დადგენა და კორექტირება იძლევა მნიშვნელოვან ეფექტს რაც გამოისახება საექსპლუატაციო ხარჯების შემცირებით.

ამ პოზიციებიდან გამომდინარე პრაქტიკული საინჟინრო ამოცანები მიზნად ისახავს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტას, როგორცაა ტექნიკური მომსახურების პერიოდულობის განსაზღვრა ოპერაციების მიხედვით, ტექნიკური ზემოქმედების სახეობების ფორმირება, სათანადო დეტალების ნომენკლატურული რაოდენობის განსაზღვრა, დეტალების შეცვლის სისტემის ოპტიმიზირება, ტექნიკურად მზადყოფნის კოეფიციენტის დიფერენცირება გარბენის მიხედვით, საიმედოობის პასპორტის შედგენა და სხვა.

პრაქტიკული სამუშაოების შესრულების მეთოდებს საფუძვლად უდევს სტატისტიკური მონაცემების მათემატიკური დამუშავება და ანალიზი რაც ითვალისწინებს თანამედროვე მოთხოვნების პირობებს და ავტომობილის ექსპლუატაციის საფუძვლების თეორიულ ცოდნას, ეს კი აუცილებელია ექსპლუატაციის სფეროში დასაქმებული სპეციალისტებისათვის.

## შინაარსი

წინასიტყვაობა . . . . .	4
1. მტყუნებათა სტატისტიკური მონაცემების დამუშავება და საიმედოობის მაჩვენებლების გამოვლენა . . . . .	5
2. დასაკვირვებელი ავტომობილების რაოდენობის განსაზღვრა . . .	13
3. ავტომობილის ოპტიმალური რესურსის განსაზღვრა . . . . .	17
4. დეტალების შეცვლათა რაოდენობის განსაზღვრა. . . . .	23
5. დეტალების გამოყენების დონის შეფასება მათი შეცვლის სხვადასხვა სისტემის დროს . . . . .	26
6. დეტალების შეცვლის ოპტიმალური სისტემის გამოვლენა ტექნიკურ-ეკონომიური კრიტერიუმით. . . . .	31
7. ძრავის გაგრილების სისტემის ტექნიკური მომსახურების ოპტიმალური პერიოდულობის განსაზღვრა. . . . .	35
8. ძრავის შეზეთვის სისტემის ტექნიკური მომსახურების პერიოდულობის განსაზღვრა. . . . .	39
9. ძრავას საწვავის მიწოდების სისტემის ტექნიკური მომსახურების პერიოდულობის განსაზღვრა. . . . .	41
10 ავტომობილების ტექნიკურად მზადყოფნის კოეფიციენტის განსაზღვრა. . . . .	44
11 ავტომობილის (აგრეგატის, კვანძის, სისტემის) საიმედოობის პასპორტის შედგენა. . . . .	48

**პრაქტიკული სამუშაო №1.**

**მტყუნებათა სტატისტიკური მონაცემების დამუშავება და  
საიმედოობის მაჩვენებლების გამოვლენა**

ექსპლუატაციის პროცესში ავტომობილებზე დაკვირვების შედეგად მიღებული იქნა ინფორმაცია დეტალის მტყუნებების შესახებ. მტყუნების კრიტერიუმს წარმოადგენს დეტალის გაცვეთა და მუშაობის უნარის დაკარგვა. დაფიქსირებული იქნა N=68 დეტალის შეცვლა. 1-ელ ცხრილში მოცემულია მათი მნიშვნელობები ნამუშევრების (გარბენების) მიხედვით. დავუშვათ, რომ განსახილველი დეტალის პირველ შეცვლამდე რესურსის განაწილება ექვემდებარება ნორმალურ კანონს.

საჭიროა განისაზღვროს რესურსის განაწილების პარამეტრები (მათემატიკური მოლოდინი და საშუალო კვადრატული გადახრა), შემოწმდეს განაწილების კანონის სახეობის შესახებ ჰიპოთეზა, გამოითვალოს განაწილების სიმჭიდროვე, უმტყუნებო მუშაობის ალბათობა და საშუალო რესურსი. ანგარიშის შედეგების მიხედვით გამოისახოს შესაბამისი მრუდები.

ცხრილი 1

**რესურსის მნიშვნელობები (განლაგებულია ზრდადი სახით) ათასი კმ.**

66,3	132,5	156,4	164,1	180,3	188,4	197,0	211,4	219,6	229,1	241,9
87,7	136,7	156,9	164,5	181,0	188,7	198,5	212,0	220,8	233,1	242,7
96,7	138,0	157,0	168,4	182,1	189,1	200,2	213,7	221,7	233,6	246,9
107,2	140,9	158,0	170,2	182,7	190,1	205,7	214,0	223,7	237,6	251,1
112,5	151,6	158,8	172,7	187,3	190,9	206,8	214,2	226,0	238,4	268,8
126,4	155,0	159,4	173,9	188,2	194,5	211,3	214,6	221,5	241,7	312,5

$\Sigma = 12470,2$  ათასი კმ.

1.2. რესურსების შემთხვევითი მნიშვნელობების დაჯგუფების ინტერვალის სიდიდის განსაზღვრა

გამოვთვალოთ გარბენის მაქსიმალური  $L_{\max}$  და მინიმალური  $L_{\min}$  მნიშვნელობები და განვსაზღვროთ ინტერვალის სიდიდე

$$\Delta L = \frac{L_{\max} - L_{\min}}{S}$$

სადაც  $S$  არის ნამუშევრის ინტერვალის რაოდენობა და

გამოითვლება ფორმულით:  $S = 1 + 3,2 \cdot \lg N = 1 + 3,2 \cdot \lg 66 = 7$


მაშასადამე ინტერვალის სიდიდე იქნება

$$\Delta L = \frac{312,5 - 66,3}{7} \approx 36 \text{ ათასი კმ.}$$

1.3. განისაზღვროს ინტერვალის საწყისი და საბოლოო მნიშვნელობები გარბენების მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობების გათვალისწინებით

$L_{\text{საწყ.}} = 66$ ;  $L_1 = 66 + 36 = 102$ ;  $L_2 = 102 + 36 = 138$ ;  $L_3 = 138 + 36 = 174$ ;  
 $L_4 = 174 + 36 = 210$ ;  $L_5 = 210 + 36 = 246$ ;  $L_6 = 246 + 36 = 282$ ;  $L_7 = 282 + 36 = 318$ ;  
 $L_{\text{საბ.}} = 318$  ათასი კმ.

გამოვხაზოთ ინტერვალებად დაყოფის სქემა



1.4. განისაზღვროს ინტერვალების შუალედური მნიშვნელობები და თითოეულ ინტერვალში რესურსის შემთხვევითი სიდიდეების მოხვედრის რაოდენობა

ანგარიშის შედეგები შევიტანოთ მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

ინტერვალში რესურსების მოხვედრის სიხშირის განსაზღვრა

ინტერვალის №	ინტერვალების საზღვრები (ათასი კმ)	ინტერვალების შუალედი (ათასი კმ)	ინტერვალში მოხვედრის სიხშირე, $n_i$
1.	66-102	84	3
2.	102-138	120	6
3.	138-174	156	15
4.	174-210	192	17
5.	210-246	228	21
6.	246-282	264	3
7.	282-318	300	1

$$\sum = 66$$

1.5. განაწილების ნორმალური კანონის პარამეტრების განსაზღვრა

განაწილების სიმჭიდროვეს აქვს შემდეგი სახე:

$$f(L) = \frac{1}{\sigma \cdot \sqrt{2\pi}} \cdot e^{-\frac{(\bar{L}_i - \bar{L}_{საშ})^2}{2\sigma^2}}$$

სადაც  $\bar{L}$  და  $\sigma$  არის განაწილების ნორმალური კანონის პარამეტრები;

განვსაზღვროთ მათემატიკური მოლოდინი  $\bar{L}_{საშ}$  შემდეგი ფორმულით:

$$\bar{L}_{საშ} = \frac{1}{N} \cdot \sum_{i=1}^r \bar{L}_i \cdot n_i$$

სადაც  $r$  - ინტერვალების რაოდენობა;

$N$  - დაკვირვების საერთო რაოდენობა;

$L_i$  - ინტერვალების შუალედი;



$n_i$  - ინტერვალში მოხვედრის სიხშირე

$$\begin{aligned} \bar{L}_{საშ} &= \frac{1}{66}(84 \cdot 3 + 120 \cdot 6 + 156 \cdot 15 + 192 \cdot 17 + 228 \cdot 21 + 264 \cdot 3 + 300 \cdot 1) = \\ &= \frac{1}{66} \cdot 12456 \approx 188,73 \text{ ათასი კმ.} \end{aligned}$$

განვსაზღვროთ საშუალო კვადრატული გადახრა ფორმულით

$$\bar{\sigma} = \sqrt{\frac{1}{(N-1)\sum (L_i - L_{საშ})^2 \cdot n_i}} = \sqrt{\frac{1}{(66-1)\sum (L_i - L_{საშ})^2 \cdot n_i}} \approx 46,29 \text{ ათასი კმ.}$$

განვსაზღვროთ განაწილების სიმჭიდროვის ემპირიული მნიშვნელობები ინტერვალების მიხედვით

$$\bar{f}_g(L_i) = \frac{n_i}{N \cdot \Delta L}$$

განვსაზღვროთ ინტერვალების შუალედების ნორმირებული და ცენტრირებული გადახრები:

$$\frac{\bar{y}_i(L_i - L_{საშ})}{\bar{\sigma}}$$

განვსაზღვროთ განაწილების სიმჭიდროვის თეორიული მნიშვნელობები ფორმულით:

$$f_g(L_i) = \frac{1}{\sigma} \cdot f_0(y_i)$$

სადაც


$$f_0(y_i) = \frac{1}{\sqrt{2\pi}} \cdot e^{-\left(\frac{y_i}{2}\right)^2}$$

ზემოთ ნაჩვენები ანგარიშის შედეგები შევიტანოთ მე-3 ცხრილში

განაწილების სიმჭიდროვის (ემპირიული და თეორიული)  
მნიშვნელობების და ინტერვალების შუალედების  
ნორმირებული და ცენტრირებული გადახრები

$n_i$ (პარამეტრი)	$y_i$	$f_s(L_i)$	$f_0(L_i)$	$f_m(L_i)$
$n_1$	-2,262	0,0013	0,0333	0,0007
$n_2$	-1,485	0,0025	0,1333	0,0029
$n_3$	-0,707	0,0063	0,3278	0,0071
$n_4$	0,071	0,0072	0,4	0,0086
$n_5$	0,848	0,0088	0,2857	0,0062
$n_6$	1,626	0,0013	0,1089	0,0023
$n_7$	2,404	0,0004	0,0222	0,0005

ანგარიშის შედეგების მიხედვით ავსოთ ჰისტოგრამები, განაწილების სიმჭიდროვის თეორიული მრუდი. (ნახ. 1)



ნახ. 1. ჰისტოგრამა, განაწილების სიმჭიდროვის მრუდი.

1.6. განაწილების ემპირიული და თეორიული კანონების შეთანხმების შემოწმება პირსონის თანხმობის  $\chi^2$  კრიტერიუმით.

განვსაზღვროთ ემპირიული და თეორიული განაწილების შეთანხმების დონე (განსხვავებათა სიდიდე). ანგარიშის გაადვილების და მოხერხებულობის მიზნით  $\chi^2$  კრიტერიუმი ვიანგარიშოთ ფორმულით:

$$\chi^2 = \frac{N \cdot \Delta L \sum_{i=1}^r [\bar{f}_{\text{ფ}}(L_i) - \bar{f}_{\text{თ}}(L_i)]^2}{\bar{f}_{\text{თ}}(L_i)} = 5,12$$

გამოვთვალოთ თავისუფლების ხარისხის რიცხვი  $m$  (ინტერვალები, რომლებშიც  $m_i$  მოხვედრის რაოდენობა 5-ზე ნაკლებია, გავაერთიანოთ მეზობელ ინტერვალთან)  $m = r - k - 1$  სადაც  $r_i$  არის ინტერვალების რაოდენობა გაერთიანების შემდეგ ( $r_i=4$ ).  $k$ –განაწილების კანონის პარამეტრების რაოდენობა ( $k=2$ ). (მათემატიკური მოლოდინი და საშუალო კვადრატული გადახრა) მაშასადამე  $m=4-2-1=1$   $\chi^2$  და  $m$  მნიშვნელობების მიხედვით თანხმობის ალბათობა  $P(\chi^2)$

$$P(\chi^2) = P(5,12) = 0,0821 ; P(\chi^2) > 0,05$$

მაშასადამე ჰიპოთეზა ნორმალური კანონის შესახებ გამართლებულია.

### 1.7. უმტყუნებო მუშაობის ალბათობის განსაზღვრა


დეტალის საშუალო რესურსი  $L_{საშ}$  განაწილების ნორმალური კანონის შემთხვევაში ტოლია მათემატიკური მოლოდინის. ე.ი.  $L_{საშ} = 188,73$  ათასი კმ.

განვსაზღვროთ უმტყუნებო მუშაობის ალბათობის მნიშვნელობები ინტერვალების მიხედვით

$$\bar{P}(L_i) = \frac{N - \sum_{i=1}^r n}{N}$$

$$\bar{P}(L_1) = \frac{66 - 3}{66} = 0,95; \dots \dots P(L_7) = \frac{66 - 66}{66} = 0$$

ავაგოთ უმტყუნებო მუშაობის ალბათობის მრუდი  $L$  გარბენის მიხედვით.



ნახ. 2. უმტყუნებო მუშაობის ალბათობის მრუდი

**პრაქტიკული სამუშაო №2**  
**დასაკვირვებელი ავტომობილების რაოდენობის განსაზღვრა**

ავტომობილის საიმედოობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მისი მაჩვენებლების გამოვლენა რეალურ საექსპლუატაციო პირობებში უნდა მოხდეს ავტომობილებზე ხანგრძლივი და სწორი დაკვირვების შედეგად. ამ დროს ხდება ყველა მტყუნებისა და უწყესიერობის დაფიქსირება იმ ნამუშევრის (გარბენის) ზუსტი აღრიცხვით, რომელზედაც შესრულდა შესაბამისი ტექნიკური ზემოქმედება (რეგულირება, დეტალის შეცვლა და სხვა).

დასაკვირვებელი ავტომობილების რაოდენობა დამოკიდებულია შემთხვევითი სიდიდის (ავტომობილის გარბენა) საჭირო სიზუსტესა და მათ გაბნევაზე. რაც მეტია ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების სურვილი, მით მეტი უნდა იყოს დასაკვირვებელი ავტომობილების რაოდენობა. როდესაც რესურსის განაწილების კანონი ნორმალურია, მაშინ დასაკვირვებელი ავტომობილების მინიმალური რაოდენობა შემდეგნაირად გამოითვლება:

$$N = \left( \frac{U_p \cdot V}{\delta} \right)^2$$

სადაც  $U_p$  - ნორმალური განაწილების კვანტილი (აიღება ცხრილებიდან)

$V$  - ვარიაციის კოეფიციენტი (ნორმალური განაწილების შემთხვევაში აიღება 0,1-0,33 ზღვრებში)

$\delta$  - ფარდობითი ცდომილება.

როდესაც  $\alpha = 0,80$  (სარწმუნო აღბათობა),

$$\delta = 0,05, \quad V = 0,32 \quad \text{და} \quad U_{p=0,80} = 0,842$$

$$N = \left( \frac{0,842 \cdot 0,32}{0,05} \right)^2 \approx 30 \text{ ავტომობილი.}$$

საშუალო რესურსის სარწმუნო ზღვრების დადგენის მიზნით, წინასწარ საჭიროა შემთხვევითი სიდიდეების განაწილების კანონის პარამეტრების ინტერვალური შეფასება, რომელიც განისაზღვრება ორი რიცხვით (ინტერვალის ბოლოებით, რომლებიც ფარავენ მოცემულ პარამეტრს)

საშუალო რესურსის სარწმუნო ზღვრები წარმოადგენს სარწმუნო ინტერვალს, რომელიც (ორმხრივი) სარწმუნო  $\alpha^*$  ალბათობით ფარავს  $L_{საშ}$ .

$$\alpha^* = \text{Bep} \left\{ L_{საშ}^{ქმ} \leq L_{საშ} \leq L_{საშ}^{ზედ} \right\},$$

ცალმხრივი  $\alpha_1$  და  $\alpha_2$  ალბათობები განისაზღვრებიან შემდეგი პირობით:

$$\alpha_1 = \text{Bep} \left\{ L_{საშ} \geq L_{საშ}^{ქმ} \right\},$$

$$\alpha_2 = \text{Bep} \left\{ L_{საშ} \geq L_{საშ}^{ზედ} \right\},$$

ამასთან  $\alpha_1 + \alpha_2 - 1 = \alpha^*$ , კერძო შემთხვევაში, როდესაც

$$\alpha_1 = \alpha_2 = \alpha, \text{ მაშინ}$$

$$\alpha^* = 2\alpha - 1 \text{ ან } \alpha = \frac{\alpha^* + 1}{2}$$

სარწმუნო ინტერვალის სიდიდე ახასიათებს შეფასების სიზუსტეს, ხოლო სარწმუნო ალბათობა, შეფასების დამაჯერებლობას.

ნამუშევრის შემთხვევითი სიდიდეების ნორმალური კანონით განაწილების შემთხვევითი სარწმუნო ზღვრები განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$L_{საშ}^{ქ} = L_{საშ} - \varepsilon;$$

$$L_{საშ}^{ზედ} = L_{საშ} + \varepsilon;$$

სადაც  $\varepsilon$  არის აბსოლუტური ცდომილება.

$$\varepsilon = \frac{t_{\alpha, k} \cdot \sigma_k}{\sqrt{N}}$$

აქ  $t_{\alpha, k}$  სტიუდენტის კოეფიციენტია, რომელიც განისაზღვრება მოცემული  $\alpha$  და  $k = N - 1$  მნიშვნელობებისათვის ცხრილების მიხედვით (დანართი 2).

პირველი სამუშაოს მონაცემების მიხედვით გამოთვლილი პარამეტრების მნიშვნელობები და შედეგები მოცემულია მე-4 ცხრილში.

დანართი 3-ის მიხედვით განვსაზღვროთ  $\varepsilon$  როდესაც  $\alpha = 0,8$  და  $k = 66 - 1 = 65$ ,  $k_{65} = 0,841$

$$\varepsilon = \frac{0,841 \cdot 46,5}{\sqrt{66}} = 5 \text{ ათასი კმ.}$$

$$L_{საშ}^{ქ} = 188 - 5 = 183 \text{ ათასი კმ.}$$

$$L_{საშ}^{ზედ} = 188 + 5 = 193 \text{ ათასი კმ.}$$

ე.ი.  $183 \leq L_{საშ} \leq 193$

ცხრილი 4

№	დასახელება	აღნიშვნა	ნამუშევრის ინტერვალი							ჯამი
			4	5	6	7	8	9	10	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	ინტერვალის ზღვრები	$L_i - 1,$ $L_i$	66 102	102 138	138 174	174 210	210 246	246 282	282 318	
2	ინტერვალის შუალედი	$L_{i,საშ}$	84	120	156	192	228	264	300	

ცხრილი 4-ის გაგრძელება

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
3	მტყუნების სიხშირე	$n_i$	3	6	15	17	21	3	1	66
4	საშუალო მნიშვნელობის გამოთვლა	$n_i \cdot L_{i,საშ}$	252	720	2340	3264	4788	792	300	12492
			$L_{საშ} = \frac{\sum n_i \cdot L_{i,საშ}}{66} = \frac{12456}{66} = 188,73$							
5	საშუალო კვადრატული გადახრის შეფასება და გამოთვლა	$L_i - L_{საშ}$	-105	-79	-33	3	61	75	111	
		$(L_i - L_{საშ})^2$	11025	6241	1089	9	3721	5625	12321	37441
		$(L_i - L_{საშ})^2 \cdot n_i$	33075	37446	16335	153	78141	16875	12321	192346
			$\sigma = \sqrt{\frac{1}{66-1} \cdot 192346} = 46,5$							

განვსაზღვროთ ფარდობითი ცდომილება და ვარიაციის კოეფიციენტი:

$$V = \frac{46,5}{188} = 0,247, \delta = \frac{5}{188} = 0,02$$



**პრაქტიკული სამუშაო №3**  
**ავტომობილის ოპტიმალური რესურსის ბანსაზღვრა**

რესურსი წარმოადგენს ზღვრულ მდგომარეობამდე ავტომობილის გარბენას. ანუ მის ისეთ ნამუშევარს, რომლის დროსაც ეფექტურობის მაჩვენებლები ექსტრემალურ მნიშვნელობებს მიიღებს. რესურსის ოპტიმიზაციის კრიტერიუმად მიღებულია ავტომობილის დამზადებისა და მუშაობის უნარის შენარჩუნებაზე გაწეული კუთრი ხარჯების ჯამი, რომელიც უზრუნველყოფს მოცემულ საექსპლუატაციო პირობებში მაქსიმალურ მწარმოებლურობას.

$$\sum C_{კუთ} = \frac{1}{L} \left[ C_{ავტ.} + \int_0^L C_{ს.გ.}(L) dL \right] \rightarrow \min$$

სადაც  $C_{ავტ.}$  - ავტომობილის დამზადებაზე (შექენაზე) გაწეული ხარჯები, ლარი;

$L_{ს.გ.}(L)$  - ავტომობილის საიმედოობის შენარჩუნებაზე გაწეული ხარჯები გარბენის ინტერვალების მიხედვით.

კუთრი ხარჯების მინიმალური მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ ავტომობილის დამზადებასთან დაკავშირებული პირველადი ხარჯები გარბენის ზრდასთან ერთად მცირდება, ხოლო საიმედოობის შენარჩუნებაზე გაწეული ხარჯები იზრდება. მაშასადამე, მათ ჯამს ექნება მინიმალური მნიშვნელობა გარბენის რომელიმე მომენტისათვის.

ოპტიმალური რესურსი ანალიზურად იანგარიშება შემდეგნაირად:

$$L_{ოპტ.} = \sqrt[n+1]{\frac{C_{ავტ.} \cdot (n+1)}{n \cdot b}} \quad \text{ათასი კმ.}$$

სადაც  $n$  - საიმედოობის დონე, რომელიც წარმოადგენს ავტომობილის შექმნისა და საიმედოობის შენარჩუნებაზე გაწეული ხარჯების ფარდობას;

$b$  - სათადარიგო დეტალების ხარჯების ცვლილების კუთხური კოეფიციენტი  $k^{n+1}$

ამოცანის ამოხსნისათვის საჭირო საწყისი მონაცემები:

- ავტომობილის ღირებულება -  $C_{ავტ.}$ ;
- სათადარიგო დეტალებზე გაწეული ფაქტიური ხარჯი გარბენის ინტერვალების მიხედვით -  $C_{სათდ.}(L)$ ;
- $(A+B+C)$  კოეფიციენტების ჯამი, რომელიც ახასიათებს ავტომობილის (აგრეგატის) საიმედოობის შენარჩუნებაზე გაწეული ხარჯების თანაფარდობას.

(A - შრომითი ხარჯებისა და სათადარიგო დეტალების ხარჯების შეფარდება, B - მასალებისა და იგივე სათადარიგო დეტალების ხარჯების შეფარდება, C - მოცდენის კომპენსაციისა და ისევე სათადარიგო დეტალების ხარჯების შეფარდება) (აღნიშნული კოეფიციენტების ჯამი პრაქტიკული მონაცემებით  $1,5 \div 2,5$  ზღვრებშია). საწყისი მონაცემები მოცემულია მე-5 ცხრილში

ცხრილი 5

სათადარიგო დეტალების ხარჯი ლარი/1000კმ.						კოეფიციენტების ჯამი (A+B+C)	ავტ-ის ღირებულება $C_{ავტ.}$ ლარი
0	100	200	300	400	500		
0	100	200	300	400	500		
100	200	300	400	500	600		
0,88	7,01	11,2	26,4	33,4	55,7	1,93	13500

სათადარიგო დეტალების კუთრი ხარჯები წარმოვადგინოთ ხარისხოვანი ფუნქციის სახით:

$$C_{სათდ.}(L) = b_{სათდ.} \cdot L^n, \text{ ლარი/1000კმ.}$$

თუ ამ განტოლებას გაგალოგარიტმებთ, მივიღებთ:

$$\lg C_{\text{სათ.დ.}}(L) = \lg b_{\text{სათ.დ.}} + n \lg L$$

მოცემული განტოლების კოეფიციენტები მოიძებნება უმცირესი კვადრატების წესით, ამისათვის შევადგინოთ ორი განტოლების სისტემა:

$$m \lg b_{\text{სათ.დ.}} + n \sum \lg L = \sum \lg C_{\text{სათ.დ.}}^*$$

$$\lg b_{\text{სათ.დ.}} \sum \lg L + n \sum (\lg L)^2 = \sum \lg L \cdot \lg C_{\text{სათ.დ.}}^*$$

სადაც  $m$  არის ნამუშევრის ინტერვალის რაოდენობა ( $m=6$ ) ამ სისტემის განსაზღვრას აქვს შემდეგი სახე:

$$\Delta_1 = \begin{vmatrix} m & \sum \lg L \\ \sum \lg L & \sum (\lg L)^2 \end{vmatrix}$$

$$\Delta_2 = \begin{vmatrix} \sum \lg C_{\text{სათ.დ.}}^* & \sum \lg L \\ \sum \lg L \cdot \lg C_{\text{სათ.დ.}}^* & \sum (\lg L)^2 \end{vmatrix}$$

$$\Delta_3 = \begin{vmatrix} m & \sum \lg C_{\text{სათ.დ.}}^* \\ \sum \lg L & \sum \lg L \cdot \lg C_{\text{სათ.დ.}}^* \end{vmatrix}$$

რომელთა საფუძველზე ვიპოვი:

$$\lg b_{\text{სათ.დ.}} = \frac{\Delta_2}{\Delta_1}; \quad n = \frac{\Delta_3}{\Delta_1}$$

მოცემული საწყისი მონაცემების მიხედვით მიღებული ანგარიშის შედეგები მოცემულია მე-6 ცხრილში

L	$C_{სათ.დ.}^*$	$\lg L$	$(\lg L)^2$	$\lg \cdot C_{სათ.დ.}^*$	$\lg L \cdot \lg C_{სათ.დ.}^*$	$\lg C_{სათ.დ.}$	$C_{სათ.დ.}$
50	0,88	1,70	2,89	-0,056	-0,096	-0,002	1,00
150	7,01	2,18	4,74	0,846	1,84	0,785	6,10
250	11,2	2,40	5,75	1,05	2,52	1,15	14,0
350	26,4	2,54	6,47	1,42	3,61	1,38	23,7
450	33,4	2,65	7,04	1,52	4,04	1,56	36,0
550	55,7	2,74	7,51	1,75	4,78	1,70	50,5
	134,6	14,21	34,40	6,53	16,69	6,57	131,3

მიღებული ჯამი წარმოადგენს სისტემის განმსაზღვრელ კოეფიციენტებს

$$m = 6 \quad \sum \lg L = 14,21 \quad \sum (\lg L)^2 = 34,40$$

$$\sum \lg C_{სათ.დ.} = 6,53 \quad \sum \lg L \cdot \lg C_{სათ.დ.}^* = 16,59$$

ამ მნიშვნელობების მიხედვით ვიანგარიშოთ განმსაზღვრელები:

$$\Delta_1 = \begin{vmatrix} 6 & 14,21 \\ 14,21 & 34,40 \end{vmatrix} = 4,48$$

$$\Delta_2 = \begin{vmatrix} 6,53 & 14,21 \\ 16,21 & 34,40 \end{vmatrix} = -12,5$$

$$\Delta_3 = \begin{vmatrix} 6 & 6,53 \\ 14,21 & 16,69 \end{vmatrix} = 7,35$$

მაშასადამე, კუთხური კოეფიციენტი და ხარისხის მაჩვენებელი (საიმედოობის დონე) ტოლია:

$$\lg b_{\text{სათ.დ.}} = \frac{\Delta_2}{\Delta_1} = \frac{-12,5}{4,48} = -2,79;$$

$$n = \frac{\Delta_3}{\Delta_1} = \frac{7,35}{4,48} = 1,64$$

მოცემული ვარიანტისათვის (საწყისი მონაცემებისათვის)  $\lg C_{\text{სათ.დ.}}(L)$  იანგარიშება შემდეგნაირად:

$$\lg C_{\text{სათ.დ.}}(L) = 1,64 \cdot \lg L - 2,79$$

$$b = (1 + A + B + C) \cdot b_{\text{სათ.დ.}} = (1 + 1,93) \cdot 0,00162 = 0,00475 \text{ ლარი/1000 კმ}^{n+1}$$

ოპტიმალური რესურსი იქნება:

$$L = \frac{1,64+1 \sqrt{13500 \cdot (1,64+1)}}{1,64 \cdot 0,00475} = 333\,000 \text{ კმ.}$$

მრუდების ასაგებად ანგარიშების შედეგები მოცემულია მე-7 ცხრილში


ცხრილი 7

L ათასი კმ.	$C_{\text{სათ.დ.}}(L)$ ლარი	$C_{\text{ს.შ.}}(L)$ ლარი	$C_{\text{ს.შ.}}^{\text{საშ.}}(L)$ ლარი	$C_{\text{შედ.}}(L)$ ლარი	$C_{\text{კუთ.}}(L)$ ლარი
50	1,0	2,93	1,11	270,0	271,0
150	6,10	17,9	6,78	70,0	76,8
250	14,0	41,0	15,5	54,0	69,5
350	23,7	69,4	26,3	38,6	64,9
450	36,0	105,0	39,8	30,0	69,8
550	50,5	148,0	56,1	24,5	80,6

$$C_{\text{ს.შ.}} = (1 + A + B + C) \cdot C_{\text{სათ.დ.}}$$

$$C_{\text{საშ.}}^{\text{საშ.}} = \frac{C_{\text{ს.შ.}}}{n+1}; \quad C_{\text{შედ.}}(L) = \frac{C_{\text{ავტ.}}}{L} \text{ ლარი/1000 კმ.}$$

$C_{\text{კუთრი}}$  ლარი/1000 კმ.



**ნახ. 3. კუთრი ხარჯების ცვლილების მრუდები  
1-შეძენის ხარჯები, 2-საიმედოობის შენარჩუნების ხარჯები,  
3-ჯამური კუთრი ხარჯები**

მიღებული ოპტიმალური რესურსის პირობებში სათადარიგო დეტალების ჯამური ხარჯის ნორმა იანგარიშება შემდეგი განტოლებით:

$$C_{\text{სათდ.}}(L) = \frac{C_{\text{ავტ.}}}{(1 + A + B + C) \cdot n} = \frac{13500}{1,64(1 + 1,93)} = 2810 \text{ ლარი/რესურსი.}$$

**პრაქტიკული სამუშაო №4**  
**დეტალის შეცვლათა რაოდენობის განსაზღვრა**

როდესაც ცნობილია რომელიმე კრიტიკული დეტალის უმტყუნებო მუშაობის ალბათობის განაწილების ფუნქცია, მაშინ მის პირველ შეცვლაზე მოთხოვნა განისაზღვრება საგემო პერიოდის ინტერვალში მტყუნებათა წარმოშობის ალბათობით

i-ური ავტომობილისათვის

$$\bar{P}(L) = 1 - P(L_i; L_i + L_{გემ}) = 1 - \frac{P(L_i + L_{გემ})}{P(L_i)}$$

ავტომობილების ჯგუფისათვის

$$N_{შეცვ.} = \sum_{i=1}^{A_{გემ}} \left( 1 - \frac{P(L_i + L_{გემ})}{P(L_i)} \right)$$

სადაც  $L_{გემ}$  არის ავტომობილის საგემო გარბენა.

სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო საწყისი მონაცენები


ცხრილი 8

განაწილების პარამეტრები		საგემო გარბენა $L_{გემ}$	ავტომობილების რაოდენობა ჯგუფებში									
$L_{საშ.}$ ათასი კმ.	$\sigma$ ათასი კმ.		1	2	3	4	5	6	7	8	9	10
60	17	20	საწყისი გარბენა $L_{საშ.}=1000$ კმ.									
			20	25	30	35	25	30	40	45	30	35

ვიანგარიშით რესურსის განაწილების ფუნქცია და ავაგოთ მისი გრაფიკი (ნახ. 4). ამისათვის ვისარგებლოთ 1-ლი სამუშაოს მეთოდით და გამოვიყენოთ ნორმალური განაწილების კვანტილების ცხრილი (დანართი 1).

ანგარიშის შედეგები შეგვაქვს მე-9 ცხრილში, რომლის მე-5 სტრიქონის მონაცენები წარმოადგენს გრაფიკის აგებისათვის საჭირო მნიშვნელობებს

1	ინტერვალის საშუალო მნიშვნელობა	10	30	50	60	70	90	110
2	გამოთვლა ( $L_i - L_{საშ.}$ )	-50	-30	-10	0	10	30	50
3	ნორმალური განაწი- ლების კვანტილი $\frac{(L_i - L_{საშ.})}{\sigma}$	12,941	-1,764	-0,588	0	0,588	1,764	2,941
4	რესურსის განაწილების ფუნქცია $F(L)$	0,01	0,06	0,27	0,50	0,73	0,94	0,99
5	უმტყუნებო მუშაობის აღბათობა $P(L) = 1 - F(L)$	0,99	0,94	0,73	0,50	0,27	0,06	0,01



ნახ. 4. უმტყუნებო მუშაობის აღბათობის მრუდი



დეტალების შეცვლათა რაოდენობის ანგარიშის შედეგები ნაჩვენებია მე-10 ცხრილში, სადაც საწყის მონაცემებად მიღებულია ფუნქციის მნიშვნელობები. მე-4 ნახაზიდან ზემოთ ნაჩვენებია ფორმულებით გამოთვლილი შეცვლათა რაოდენობა როგორც i-ური ავტომობილისათვის, ისე ავტომობილის ჯგუფისათვის ნაჩვენებია ცხრილის მე-4 სტრიქონში.

ცხრილი 10

შეცვლათა რაოდენობის ანგარიში

ავტომობილის რაოდენობა		1	2	3	4	5	6	7	8	9	10
გამოთვლა		საწყისი გარბენები									
		20	25	30	35	25	30	40	45	30	35
1	$P(L_{\text{საწყ}})$	0,96	0,95	0,94	0,89	0,95	0,94	0,84	0,77	0,94	0,89
2	$P(L_{\text{საშ}} + L_{\text{გვგ}})$	0,84	0,17	0,72	0,62	0,77	0,72	0,50	0,38	0,72	0,72
3	$P(L_{\text{საწ}}; L_i + L_g)$	0,13	0,19	0,23	0,30	0,19	0,23	0,40	0,50	0,23	0,30
4	$1 - P(L)$	0,87	0,81	0,77	0,70	0,81	0,77	0,60	0,44	0,77	0,70

ავტომობილების ჯგუფისათვის შეცვალათა რაოდენობა წარმოადგენს მე-4 სტრიქონის შედეგების ჯამს.

$$N_{\text{შეცვ.}} = 0,87 + 0,81 + 0,77 + 0,70 + 0,81 + 0,77 + 0,60 + 0,44 + 0,77 + 0,70 = 7$$

**პრაქტიკული სამუშაო №5**  
**დეტალების გამოყენების დონის შეფასება მათი**  
**შეცვლის სხვადასხვა სისტემის დროს**

დეტალების მტყუნება სარწმუნო ხდომილებაა, ხოლო გარბენა, რომლის დროსაც მოხდება მტყუნება, წარმოადგენს შემთხვევით სიდიდეს და ამიტომ იგი განსხვავდება თითოეული დეტალისათვის. ისინი მწყობრიდან გამოდიან მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი გარკვეული ნამუშევრის შემდეგ.

დეტალები განსხვავდებიან აგრეთვე ღირებულების მიხედვით. ამიტომ, ეფექტურობის პოზიციიდან გამომდინარე, აუცილებელი და მიზანშეწონილია დეტალების შეცვლის სისტემის შერჩევა და ოპტიმიზირება.

პრაქტიკაში გამოიყენება კონსტრუქციული ელემენტების შეცვლის შემდეგი სისტემები: შეცვლა დეტალის მტყუნებისას, დადგენილი გარბენის შემდეგ შეცვლა, ჯგუფური შეცვლა ერთი რომელიმე დეტალის მტყუნებისას. პირველი სისტემა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც დეტალის შეცვლაზე არ იხარჯება დიდი შრომა. მეორე სისტემა ავტომობილის უსაფრთხო ექსპლუატაციის პირობიდან გამომდინარეობს, ხოლო მესამე სისტემა გამოიყენება კონსტრუქციული, ტექნოლოგიური და ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით.

დეტალების შეცვლის ამა თუ იმ სისტემის შერჩევა და შემდგომი ანალიზი შეფასდება თითოეული  $i$ -ური რესურსის გამოყენების  $\beta_{ri}$  კოეფიციენტებისა და დეტალების ჯგუფის (ან მთლიანად აგრეგატის) გამოყენების  $\beta_{ღვტ}$  კოეფიციენტებზე.

$$\beta_{ri} = \frac{L_{საშ}}{L_{საშ i}}$$

$$\beta_{\text{დებ}} = \frac{\sum_{i=1}^n C_i \beta_{ri}}{\sum_{i=1}^n C_i}$$

სადაც  $L_{\text{საშ}}$  - შეცვლათაშორისი საშუალო გარბენა;

$L_{\text{საშ}i}$  - i-ური დეტალის საშუალო რესურსი მის ზღვრულ მდგომარეობამდე;

$C_i$  - i-ური დეტალის ღირებულება, ლარი;

n - ჯგუფში დეტალების რაოდენობა.

ვთქვათ, აგრეგატის საიმედოობა განისაზღვრება სამი დეტალით თითოეული დეტალის შესახებ მონაცემები (საშუალო რესურსი, ღირებულება და ვარიაციის კოეფიციენტი) მოცემულია მე-11 ცხრილში.

ცხრილი 11

1-ლი დეტალი			მე-2 დეტალი			მე-3 დეტალი		
$L_{\text{საშ}1}$ ათასი კმ.	$V_1$	$C_1$ ლარი	$L_{\text{საშ}2}$ ათასი კმ.	$V_2$	$C_2$ ლარი	$L_{\text{საშ}3}$ ათასი კმ.	$V_3$	$C_3$ ლარი
60	0,30	2,5	80	0,25	3,0	100	0,30	4

ვიანგარიშით და ავადოთ შესაცვლელი დეტალების უმტყუნებო მუშაობის გრაფიკები.

შეცვლის თითოეულ ვარიანტში შემავალი დეტალების ჯგუფისათვის განვსაზღვროთ უმტყუნებო მუშაობის ალბათობა. ამისათვის გამოიყენება ალბათობის ნამრავლის თეორემა

$$P(\prod_{i=1}^k A_i) = \prod_{i=1}^k P(A_i)$$

სადაც  $K$  არის ჯგუფში დეტალების რაოდენობა (ცხრილი 12) ამ შემთხვევაში საწყის მონაცემებს წარმოადგენს დეტალების უმტყუნებო მუშაობის მრუდები.

დეტალების ერთობლივი შეცვლის ჯგუფისათვის განვსაზღვროთ შეცვლათაშორისი ნამუშევრის საშუალო მნიშვნელობა:

$$L_{საშ} = \int_0^{\infty} P_{ჯგ} (L) dL = \sum P_{ჯგ} (L) \Delta L$$

საწყისი მონაცემები ანგარიშის შესასრულებლად და დეტალების შერწყმული კომბინაცია მათი ჯგუფური შეცვლისას შეიძლება წარმოადგენილი იქნას შემდეგი სახით:

ცხრილი 12


საწყისი მონაცემები	აღნიშვნები	დეტალის №		
		1	2	3
საშუალო რესურსი, 1000კმ.	$L_{საშ}$	60	80	100
ვარიაციის კოეფიციენტი	$V$	0,30	0,25	0,30
საშუალო კვადრატული გადახრა, 1000 კმ.	$\sigma_i$	18	20	30
დეტალის ღირებულება, ლარი	$C_i$	2,5	3,0	4,0
შეცვლათა სტრატეგია	A	+	+	-
	B	+	-	+
	C	-	+	+
	D	+	+	+

(+ - ჯგუფური შეცვლა, - ინდივიდუალური შეცვლა)

განვსაზღვროთ დეტალების ჯგუფების რესურსების განაწილება და ანგარიშის შედეგები შევიტანოთ მე-13 ცხრილში.

გარბენა 1000 კმ.	$P_1$	$P_2$	$P_3$	$P_1 P_2$	$P_1 P_3$	$P_2 P_3$	$P_1 P_2 P_3$
20	0,987	0,999	0,996	0,986	0,983	0,995	0,982
40	0,867	0,977	0,977	0,847	0,847	0,995	0,828
50	0,711	0,974	0,953	0,953	0,644	0,890	0,632
60	0,500	0,841	0,908	0,421	0,454	0,764	0,382
70	0,289	0,690	0,841	0,199	0,243	0,580	0,163
80	0,134	0,500	0,749	0,067	0,100	0,375	0,050
90	0,048	0,308	0,631	0,014	0,030	0,194	0,008
100	0,013	0,159	0,500	0,002	0,007	0,080	0,001
110	0,003	0,076	0,369	0,000	0,001	0,024	0,000

დეტალების უმტყუნებო მუშაობის ალბათობის გრაფიკები და მათი ჯგუფური შეცვლის ვარიანტები A, B, C, D სტრატეგიისათვის მოცემულია მე-5 ნახაზზე.



ნახ. 5. დეტალების და დეტალების ჯგუფის უმტყუნებო მუშაობის ალბათობის მრუდები

დეტალების შეცვლათაშორის საშუალო გარბენები შეცვლის სხვადასხვა სტრატეგიისათვის მოცემულია მე-14 ცხრილში. აქვეა მოცემული დეტალების გამოყენების კოეფიციენტის ანგარიშის შედეგები.

ცხრილი 14

მაჩვენებლები	შეცვლათა სისტემა			
	A	B	C	D
$L_{საშ.}$	57	58	74	55
$\beta_{P1}$	0,950	0,966	-	0,916
$\beta_{P2}$	0,712	-	0,925	0,687
$\beta_{P3}$	-	0,580	0,740	0,550
$C_1\beta_{P1}$	2,375	2,415	-	2,250
$C_2\beta_{P2}$	2,136	-	2,715	2,061
$C_3\beta_{P3}$	-	2,320	2,960	2,200
$\beta_{დეტ.}$	0,820	0,728	0,819	0,689

ანგარიშის შედეგად აღმოჩნდა, რომ დეტალების რესურსის უკეთესი გამოყენება ხდება A და C სტრატეგიის შემთხვევაში, სამივე დეტალის ერთდროული შეცვლა ეკონომიურად არაა გამართლებული, ვინაიდან ამ შემთხვევაში დეტალების რესურსი დაახლოებით 30%-ით გამოუყენებელი რჩება.

**პრაქტიკული სამუშაო №6**  
**დეტალების შეცვლის ოპტიმალური სისტემის გამოვლენა**  
**ტექნიკურ-ეკონომიური კრიტერიუმით**

ტექნიკურ-ეკონომიური კრიტერიუმით ამ შემთხვევაში გულისხმობს საიმედოობის შენარჩუნებაზე გაწეულ ხარჯებს და მოიცავს სათადარიგო დეტალების ხარჯებს -  $C_{სათ.დ.}$ , შრომით ხარჯებს -  $C_{შრ.}$ , მასალების ხარჯებს -  $C_{მას.}$  და მოცდენის კომპენსაციის ხარჯებს -  $C_{მოც.}$ . ოპტიმიზაციის მიზნობრივი ფუნქცია შემდეგნაირად გამოისახება:

$$C_{ს.შ.}(L) = C_{სათ.დ.}(L) + C_{შრ.}(L) + C_{მას.}(L) + C_{მოც.}(L) \rightarrow \min$$

მოცემული ხარჯები გაანგარიშებული უნდა იქნას დეტალების შეცვლათა თითოეული სტარატეგიისათვის ვარიანტების მიხედვით და გამოვლენილი იქნას მათი ჯამის მინიმალური მნიშვნელობა.

პირველ რიგში საჭიროა დადგინდეს დეტალების ინდივიდუალური და ჯგუფური შეცვლების რაოდენობა. ამისათვის უნდა განისაზღვროს (მოცემული იყოს) დეტალების რესურსების განაწილების პარამეტრები ( $L_{საშ.}, V, \sigma$ ) მათი განაწილების გრაფიკების მიხედვით განისაზღვროს ჯგუფური შეცვლის საშუალო რესურსების მნიშვნელობები (იხ. მოცანა 5). ამასთან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ დეტალებისა და დეტალების ჯგუფის მეორე შეცვლის საშუალო რესურსი აიღება პირველი შეცვლის 80% და ყოველი შემდგომი შეცვლა კი ერთიმეორის ტოლია.

შეცვლათა რაოდენობა იანგარიშება შემდეგნაირად:

$$N_{შეც. i} = \frac{L_{გგ. i}}{L_{საშ. i}} + 1$$

სადაც  $L_{გგ. i}$  არის გარბენა იმ პერიოდისათვის, რომლის დროსაც იანგარიშება შეცვლათა რაოდენობა (კვარტალი, წელიწადი ან ციკლი - (კაპ. რემონტამდე) ან საამორტიზაციო გარბენა) პირველ შეცვლამდე რესურსის გამოკლებით;

$L_{საშ i}$  არის საშუალო რესურსის მნიშვნელობა 20%-ის დაკლებით.

სათადარიგო დეტალების ხარჯი იანგარიშება შემდეგნაირად:

$$C_{სათ.დ.} = N_{შეც.} \cdot C_{სათ.დ.}$$

სადაც  $C_{სათ.დ.}$  არის ნომენკლატურული დეტალის ღირებულება, ლარი.

შრომითი ხარჯები იქნება:

$$C_{შრ.} = N_{შეც.} \cdot T \cdot C_{საათ.}$$

სადაც  $T$  არის (დეტალების ჯგუფის) შეცვლის შრომატევადობა, კსთ;

$C_{საათ.}$  არის საშუალო თანრიგის მუშის საათური ანაზღაურება, ლარი.

მასალების ხარჯი აიღება სათადარიგო დეტალების ხარჯის 15%

$$C_{შრ.} = 0,15 \cdot C_{საათ.}$$

მოცდენის კომპენსაციის ხარჯები აიღება შრომითი ხარჯების 65%

$$C_{მოც.} = C_{შრ.} \cdot 0,65$$

განვსაზღვროთ დეტალების შეცვლის ოპტიმალური ვარიანტი სამი დეტალისათვის შემდეგი საწყისი მონაცემების მაგალითზე (ცხრილი 15).

ცხრილი 15

საწყისი მონაცემები	აღნიშვნები	დეტალის №		
		1	2	3
საშუალო რესურსი, 1000 კმ.	$L_{საშ}$	80	120	150
ვარიაციის კოეფიციენტი	$V$	0,30	0,25	0,30
ღირებულება, ლარი	$C_{სათ.დ.}$	25	40	50
შრომატევადობა, კსთ	$T$	1,0	1,5	2,0

საგეგმო პერიოდად ავიღოთ  $L_{გეგ} = 300$  ათასი კმ.

მუშის საათური ანაზღაურება  $C_{საათ.} = 3$  ლარი.

დეტალების ჯგუფის საშუალო რესურსის განსაზღვრისათვის საჭიროა აიგოს უმტყუნებო მუშაობის დიაგრამები, რომელთა მიხედვითაც საშუალო რესურსის მნიშვნელობები მოცემულია მე-16 ცხრილში



მახვენებელი	შეცვლათა სისტემა			
	A	B	C	D
L <sub>საშ</sub> , 100 კმ.	75	115	130	70

ვიანგარიშით შეცვლათა რაოდენობა შეცვლათა სისტემის თითოეული ვარიანტისათვის.

$$N_1 = \frac{300 - 80}{80 \cdot 0,8} + 1 = 4,4$$

$$N_A = \frac{300 - 75}{75 \cdot 0,8} + 1 = 5,4$$

